

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2016-2022 წლებისთვის

შესავალი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა“ და სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლების ერთობლივი მუშაობის შედეგია და მიმოიხილავს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის ძირითად პრინციპებს და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2016-2022 წლებისთვის.

განვითარების სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო დოკუმენტს, რომელიც საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო გაერთიანებული სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა“ და სს „საქართველოს რკინიგზის“ შეთანხმებული მუშაობით ხელს შეუწყობს საერთო მიზნების მიღწევას პროფესიონალი კადრების მომზადების საკითხში.

სტრატეგიული გეგმა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯის თანამშრომლებსა და სტუდენტებს შეაფასონ საკუთარი პროგრესი დასახული მიზნების მიღწევის გზაზე.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც სასწავლებელი საკუთარ სამომავლო გეგმებს უზიარებს დაინტერესებულ ყველა მხარეს, რათა ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

1. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა

1.1. რკინიგზის კოლეჯის ისტორია

საქართველოში რკინიგზისთვის ტექნიკური პერსონალის მომზადება 1978 წლიდან ხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკუმში, როგორც უწყებრივ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო შემდეგ 1958 წლიდან კი სპეციალისტების მომზადება შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმში. გარდა ამისა, რკინიგზის პროფესიული კადრების მომზადების პროგრამებს ახორციელებდნენ ქ. თბილისში 31-ე და 126-ე, ხაშურის 109-ე, და სამტრედიის 116-ე რკინიგზის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ქ. თბილისში აღნიშნული ტექნიკუმის საგანმანათლებლო ბაზაზე ჩამოყალიბდა „რკინიგზის სასწავლო ცენტრი“, ხოლო 2002 წლის დეკემბრიდან 2008 წლის აგვისტომდე ამავე ბაზაზე ფუნქციონირებდა „საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტი“, რომელიც წარმოადგენდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სტრუქტურულ ერთეულს, იგი გაუქმდა 2008 წელს, გამოყვანილ იქნა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მეურვეობიდან და

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფუძნებით ამავე ბაზაზე ჩამოყალიბდა „საქართველოს რკინიგზის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯი“, სამტრედიის ფილიალით. 2010 წელს კი ისიც გაუქმდა და საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ საფუძველზე ეკონომიკის სამინისტროს პარტნიორობით ჩამოყალიბდა „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი“, სამტრედიის ფილიალით, რომელმაც 2011 წლის 25 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიიღო პროგრამული ავტორიზაცია წარდგენილ 6 პროფესიულ პროგრამაზე.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის N410 დადგენილებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით იგი შეყვანილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში, სამტრედიის ფილიალი კი გაუქმდა.

2008 წლიდან დღემდე სს „საქართველოს რკინიგზა“, როგორც დამსაქმებელი ორგანიზაცია, უზრუნველყოფდა პროფესიული განათლების ერთერთი უმთავრესი კომპონენტის, საწარმოო პრაქტიკის, განხორციელებას საკუთარი ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

1.2. სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები

2015 წლიდან სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის დამფუძნებლები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ და სს „საქართველოს რკინიგზა“. კოლეჯის ძირითად დანიშნულებას, წესდების თანახმად, წარმოადგენს ფორმალური პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადება, აგრეთვე განათლების არაფორმალური აღიარება.

კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით „პროფესიული განათლების შესახებ“ და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ“, აგრეთვე, სხვა ნორმატიული აქტებითა და კოლეჯის წესდებით.

კოლეჯის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სარკინიგზო პროფესიული პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა და მუდმივი სრულყოფა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის.

1.3. კონტექსტის მიმოხილვა

პროფესიული განათლების განვითარება საქართველოს განათლების პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხია. განათლების სისტემის ამ მიმართულების გაძლიერება აქტუალურია ადამიანური კაპიტალის განვითარების, შრომის ბაზარზე გარკვეულ სეგმენტებში დეფიციტის

შევსების, ეკონომიკური კეთილდღეობის და ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელების თვალსაზრისით.

პროფესიული განათლებისადმი მზარდი ინტერესის ფონზე თვალსაჩინოა კოლეჯის პროფილური მიმართულებისადმი - სარკინიგზო ტრანსპორტის დარგისადმი ინტერესი საქართველოში, რომლის განვითარების მხარდაჭერა სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს.

სარკინიგზო ტრანსპორტის დარგისადმი ინტერესს განაპირობებს საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკა და მიზნები გაძლიერდეს ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია. შესაბამისად, საქართველოს რკინიგზის წინაშე მიმდინარე ეტაპზე დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, ქვეყნისა და საერთაშორისო ტვირთბრუნვის ნაკადის ზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით, აგრეთვე ისტორიული პროექტის „თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის“ საერთაშორისო რკინიგზის მაგისტრალის ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიონალი სარკინიგზო ტრანსპორტის კადრების მომზადება.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ პროფესიული განათლებისადმი გაცხადებული მხარდაჭერისა და ვაუჩერული დაფინანსების პირობებში, აუცილებელია დამსაქმებლის, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს რკინიგზაში მასობრივი პროფესიების პირველადი მომზადების, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების დღევანდელი ვითარების ანალიზი და უახლოესი პერსპექტივების გათვალისწინებით კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას კოლეჯი ითვალისწინებს ახალ გარემოებაში, დამფუძნებლების მხრიდან სამმხრივი ხელშეწყობის პირობებში, საკუთარ შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების პოტენციალს, რამეთუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს რკინიგზა ერთობლივად ზრუნავენ, როგორც სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სპეციალობების სტანდარტებისა და მოდულური პროგრამების შემუშავებაზე, ასევე კოლეჯში სწავლების ხარისხის გარანტირებული მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსებით უზრუნველყოფისთვის.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას კოლეჯი ითვალისწინებს იმ რისკებსაც, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გეგმის განხორციელების გზაზე და მზადაა იმოქმედოს კოორდინირებულად დამფუძნებლებთან ერთად მისი თავიდან ასაცილებლად.

1.4. კოლეჯის განვითარების შესაძლებლობები

კოლეჯის განვითარების შესაძლებლობებს განაპირობებს რკინიგზის ტრანსპორტის ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სეგმენტად ჩამოყალიბება, სს „საქართველოს რკინიგზის“ დღევანდელი მდგომარეობა და ამ სფეროში ყოველწლიურად გაზრდილი სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე.

აღნიშნული მოსაზრება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- დღეისათვის საქართველოს რკინიგზაზე დასაქმებულია 12.600-მდე პირი, მათ შორის წარმოების სფეროშია - 10 ათასამდე, რომელთა საშუალო წლიური დენადობა შეადგენს 5-7 %-ს, მათი საშუალო ასაკი 40-45 წელია, ხოლო ყველაზე კვალიფიციური და მაღალი პროფესიული მოთხოვნის სფეროში - მემანქანებში ეს მაჩვენებელი 50-60 წელს აღწევს;
- მოძრაობასთან დაკავშირებული პერსონალი ყოველ 2-3 წელიწადში ექვემდებარება პერიოდულ მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;
- „თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის“ საერთაშორისო რკინიგზის მაგისტრალის ექსპლუატაციაში გაშვების მომენტისათვის 2016-2017 წლებში საქართველოში ერთდროულად დასასაქმებელი იქნება 1500-მდე ტექნიკური სპეციალისტი;
- რკინიგზის ტრანსპორტისა და მომიჯნავე დარგებში ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, გაამრავალფეროვნოს სერვისი და მოიზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსები;
- 2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგინდა არაფორმალური განათლების წესი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, აიღონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი ადრე მიღებული სამუშაო გამოცდილებისა და განათლების გათვალისწინებით. ამ მექანიზმის არსებობა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, მნიშვნელოვნად გაზარდოს კურსდამთავრებულთა წლიური რაოდენობა და დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ინფრასტრუქტურის და რესურსების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე.

ამდენად, რკინიგზის ინფრასტრუქტურის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სრულყოფა ყოველწლიურად მოითხოვს პროფესიული კადრის რეზერვის ფორმირებასა და დასაქმებული პერსონალის ატესტაციას. აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კოლეჯი გეგმავს შეიმუშავოს ეფექტური მოდულური და ასევე, მოკლევადიანი გადასამზადებელი პროგრამები, რომელიც განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პედაგოგებისა და წარმოების პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის მიერ საქართველოს რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე სწავლების დუალური მეთოდის გამოყენებით.

1.5. სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა

მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს, მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარების სტრატეგიული პროექტებისათვის, ქსელური ინიციატივებისთვის, სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისა და სერვის დივერსიფიკაციის მიმართულებით.

1.6. დონორი ორგანიზაციების ინტერესი

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი, როგორც სახელმწიფოს ისე საერთაშორისო დონორთა მხრიდან. კოლეჯი აპირებს, ეფექტურად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა განვითარების გეგმებში საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებისთვის.

1.7. დამსაქმებელთა ინტერესი

დამსაქმებელთა მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებელთან, ერთობლივი ინიციატივების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. დამსაქმებელთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის.

ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის წარმატებულ ფუნქციონირებას და მისი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

1.8. კონკურენტების სიმწირე

ამ ეტაპისათვის კოლეჯს არ ჰყავს კონკურენტები, რაც ზრდის დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მოზიდვის ალბათობას.

1.9. რისკები

კოლეჯის განვითარების გზაზე შემაფერხებელ გარემოებად განიხილება შემდეგი რისკები:

- ძვირადღირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- პედაგოგების სიმცირე;
- არსებული პედაგოგიური რესურსის კოლეჯში პედაგოგიური საქმიანობით დაკავების დაბალი ინტერესი;
- სახელმწიფო სუბსიდიის სიმცირე;
- გაუთვალისწინებელი გარე ფაქტორები.

ჩამოთვლილი რისკების შესამცირებლად კოლეჯი ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, საქართველოს რკინიგზასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან თავისი საქმიანობის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელებისთვის.

1.10. ორგანიზაციული მიმოხილვა

კოლეჯი დაფუძნებულია 2015 წელს. ამჟამად ავტორიზაციისთვის მზად არის საგანმანათლებლო 2 პროფესიული პროგრამა (ოფისის მენეჯერი, სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი), რომელზეც პროფესიებს დაეუფლება 50-მდე სტუდენტი და მზადდება

საგანმანათლებლო 9 პროგრამა, რომელთა ავტორიზაციის შემდეგ კოლეჯი გეგმავს წლიურად 800 სტუდენტის მომზადებას. ამჟამად კოლეჯში დასაქმებულია 22 პედაგოგი, ხოლო მომავალში იგეგმება პედაგოგიური რესურსის გაზრდა 50-მდე.

კოლეჯი განახორციელებს საქართველოს რკინიგზების კადრებზე მოთხოვნების შესაბამის სხვადასხვა დონის მოდულურ პროფესიულ პროგრამებს, რომლებიც შეიქმნა პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული ახალი რეგულაციების შესაბამისად.

მოდულური პროგრამების განხორციელება სწავლების დუალური მეთოდის დანერგვით კოლეჯის პრიორიტეტია, რამეთუ ისინი საშუალებას აძლევს ნებისმიერ ადამიანს მიიღოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება და/ან გადაემზადოს მოქნილი მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების მეთოდით და წარმატებით იპოვოს თავისი ადგილი, დასაქმდეს როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გახდეს კონკურენტუნარიანი და მოტივირებული, დაგეგმოს საკუთარი მომავალი.

კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სწავლებას განახორციელებს სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სპეციალურად გადამზადებული მასწავლებლებითა და თანამედროვე მატერიალურ - ტექნიკური ბაზით აღჭურვილი სასწავლო გარემოში. ყველა პროგრამისთვის შეიქმნება პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო აუდიტორიები და სახელოსნოები. კოლეჯს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შენობა -ნაგებობები და მიწის ფართი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს და შეესაბამება დაგეგმილ აქტივობებს.

1.11. ორგანიზაციული გამოწვევები

კოლეჯის მთავარი ორგანიზაციული გამოწვევაა:

კოლეჯისთვის გამოყოფილი ფართის ეფექტიანად გამოყენება სასწავლო აუდიტორიებისა და სახელოსნოების შექმნისათვის;

წარმადობის სინქრონიზაცია მოთხოვნასთან ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შესაბამისად. კოლეჯის მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის შემთხვევაში არსებულ პროგრამებზე გამოშვების წლიური მაჩვენებლის გაზრდა, ხოლო ახალი პროფესიების შემთხვევაში მათი შემუშავება და დანერგვა;

კოლეჯი უზრუნველყოფს უწყვეტ კავშირს დამსაქმებელთან და სამეცნიერო წრებთან სიახლეების მყისიერი ასახვისთვის მის მიერ განხორციელებულ პროგრამებში;

კოლეჯი გეგმავს აქტიურად ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან და დონორ ორგანიზაციებთან. ამ თანამშრომლობის ძირითადი მიზანია სასწავლო პროცესში

საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირება, სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის მაჩვენებლების გაზრდა, სასწავლო პროცესის მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებთან;

პროგრამების განხორციელებისთვის სტაბილური უზრუნველყოფისთვის კოლეჯი გეგმავს ფინანსური შემოსავლების გაზრდას და ფინანსური მართვის სისტემების სრულყოფას, რადგან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის კოლეჯს მუდმივად ესაჭიროება დამატებითი შემოსავლები.

1.12. ორგანიზაციის ძლიერი მხარეები:

კოლეჯის ძირითად სიძლიერედ მოიაზრება ძლიერი დამფუძნებლები, რომლებიც მზაობას გამოთქვამენ ხელი შეუწყონ მის აღორძინებას.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ ინსტიტუციასთან „საქართველოს მეცნიერებისა და განთლების სამინისტრო“, ძირითად დამსაქმებელთან სს „საქართველოს რკინიგზა“ და ტექნიკური განათლების ქვეყნის უდიდეს და წამყვან რგოლთან სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ დამყარებული თანამშრომლობის გამართული სქემები შესაძლებლობას უქმნის კოლეჯს განახორციელოს პროგრამების ეფექტური მონიტორინგი, სტუდენტებს შესთავაზოს სწავლების მაღალი ხარისხი, უკეთ მოარგოს სასწავლო გეგმის შინაარსი ბაზრის მოთხოვნებს, მოიზიდოს დამატებითი თანხები და პერმანენტულად გააუმჯობესოს სერვისი.

2. მისიის განაცხადი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა, თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის პირობების შექმნა.

კოლეჯის ხედვაა, იყოს ლიდერი სასწავლებელი რეგიონში სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორობით.

კოლეჯის ფასეულობები და სამუშაო პრინციპებია:

- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე - „სწავლა კეთებით“;

- თანამშრომლობითი, კომფორტული და ესთეტიური სასწავლო გარემოს შეთავაზება;
- მოტივირებული პედაგოგების კორპუსის შექმნა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსისა;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის უზრუნველყოფა და შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- ინოვაციურობა და პროგრესულობა.

3. სტრატეგიული მიზნები

2016-2022 წლების განმავლობაში კოლეჯი ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით იმუშავებს:

- გაზრდის კურსდამთავრებულთა რაოდენობას;
- აამოქმედებს საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემას;
- აამოქმედებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმებს;
- დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად შექმნის მოკლევადიან სპეციალურ გადასამზადებელ კურსებს;
- პერმანენტულად იზრუნებს პროგრამების დახვეწასა და ახალი პროგრამების დანერგვაზე;
- პერმანენტულად იზრუნებს არსებული პედაგოგიური პერსონალის გადამზადებასა და ახლის მოზიდვაზე სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით;
- დანერგავს სასტიპენდიო პროგრამებს სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობითა და დონორებთან თანამშრომლობით;
- გაზრდის დამატებით შემოსავლებს და ფინანსურ სტაბილურობას;
- იზრუნებს შემოსავლის მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირებასა და განხორციელებაზე;
- გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას;
- იმუშავებს კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გასაზრდელად.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის N15

ტელეფონი: 219-89-19; 591-19-00-77;

E-mail: David.sazandrishvili@railway.ge

ხარისხის მენეჯერი მ. მოისწრაფიშვილი

ტელ. 557-57-88-33

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2016-2017 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის 2016-2022 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმიდან და ადმინისტრაციის, და სამეთვალყურეო საბჭოსა და დამსაქმებლის ერთობლივი მუშაობის შედეგია.

კოლეჯის განვითარების ერთწლიანი გეგმა წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, რომლის შესრულებაც შესაძლებელია ერთი წლის მანძილზე და რომელიც ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული რგოლის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და მიზნების ირგვლივ.

კოლეჯის შეუფერხებელი განვითარებისთვის გეგმაში მოცემულია კონკრეტული აქტივობები, ამ აქტივობების განხორციელებაზე ანგარიშვალდებული პირი (პირები) და შესრულების ვადები.

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან დაკავშირებული შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა	პასუხისმგებელი პირი	ვადა, კვარტალი
ადმინისტრირება, მართვა		
კოლეჯის შენობის პროექტი	დავით საზანდრიშვილი	I
კოლეჯის ინვენტარით აღჭურვის გეგმა	დავით საზანდრიშვილი	I
კოლეჯის კომპიუტერებით აღჭურვის გეგმა	დავით საზანდრიშვილი	I
უსაფრთხოების უზრუნველყოფა სტანდარტის მიხედვით	დავით საზანდრიშვილი	II
სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა	დავით საზანდრიშვილი	II
საშტატო განრიგის შექმნა	დავით საზანდრიშვილი	I
თანამდებობრივი ინსტრუქციების გაწერა	მანანა მოისწრაფიშვილი	I
ადმინისტრაციული ადამიანური რესურსის შერჩევა	დავით საზანდრიშვილი	II
კოლეჯის დებულებების, ინსტრუქციების და ფორმების შემუშავება	მანანა მოისწრაფიშვილი	II
მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების რეგისტრაციისა და გაცემის პროცედურის შემუშავება	დავით საზანდრიშვილი	I
ავტორიზაციისთვის მომზადება საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად 1 პროგრამის წარდგენით	მანანა მოისწრაფიშვილი	I-II
საბიბლიოთეკო რესურსის შექმნა	მანანა მოისწრაფიშვილი	I-II

ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება პროგრამების მიხედვით	დავით საზანდრიშვილი	I-II
სასწავლო (სახარჯი) მასალებისა და აღჭურვილობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა - დამტკიცება	დავით საზანდრიშვილი	II
აკადემიური ადამიანური რესურსის საავტორიზაციო პროგრამის მიხედვით შერჩევა	მანანა მოისწრაფიშვილი	III
კოლეჯის ვებგვერდის მომზადება და მასალის განთავსება	დავით საზანდრიშვილი	III
პროგრამის კატალოგის მომზადება და ვებგვერდზე განთავსება	მანანა მოისწრაფიშვილი	III
სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარების შემუშავება	მანანა მოისწრაფიშვილი	IV
დამსაქმებლების გამოკითხვის კითხვარების შემუშავება	მანანა მოისწრაფიშვილი	IV
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა		
განსახორციელებელი პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შეფასება	მანანა მოისწრაფიშვილი	III
კარიერა და პროფორიენტაცია		
სტუდენტთა მოზიდვისა და პროფორიენტაციის დოკუმენტის შემუშავება	მანანა მოისწრაფიშვილი	III

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15

ტელეფონი: 219-89-19;

E-mail: info.rtc2016@gmail.com

ხარისხის მენეჯერი მ. მოისწრაფიშვილი

ტელ. 557-57-88-33